ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3334410

ნომერი: AR1514678

თარიღი : 19.06.2017

გაცემის თარიღი : 20.06.2017

გაცნობის თარიღი : 20.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 126 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მამარდაშვილი პ/ნ 01008050185
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. IV კვ. კორ. 25 ბ. 36

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 19 ივნისის AR1514678 განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამხ. N126-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მნიხედვით ხდება არსებული შენობა N2-ის დემონტაჟი. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. ამასთანავე განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება".

ამასთანავე გაცნობებთ, რომ 2013 წლის 6 სექტემბერს N880776 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი - დიდუბე), დავით აღმაშენებლის გამზირის N126–ში შპს ,,უნიდენტი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაზე, მანსარდის მოწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, საჭიროა განაცხადი და საპროექტო დოკუმენტაცია დაარეგისტრიროთ შეთანხმებული პროექტის ცვლილების მოთხოვნით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი და განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

დამატებით გაცნობებთ, რომ საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.